საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-12/11000
09/11/2023

11000-15-12-2-202311091415

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის მიერ ჩადენილ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ბრალდებულ[redacted] საქმე, სადაც გამოვლინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტურად და არასრულყოფილად ჩატარების ფაქტი.

კერძოდ, ბრალდებულ [redacted]საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელმა პირმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო დისციპლინურ დარღვევაზე ინფორმაციის მიღებიდან, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ სცადა მტკიცებულებების მოპოვება, არ მოიძია ყველა ის პირი, ვისაც შეეძლო საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება, ხოლო ჩამორთმეული ახსნა-განმარტებები არ იყო ამომწურავი, ასევე, არ მოიძია ნეიტრალური მტკიცებულებები, რაც სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენის ან უარყოფის რეალურ შესაძლებლობას მისცემდა.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

ფაქტობრივი გარემოებები

2023 წლის 27 მაისს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზს გორის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან დაუკავშირდა ბრალდებული [redacted] ბრალდებულის განმარტებით, 2023 წლის 26 მაისს, დაკავებისას, გორის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა [redacted] ასევე განმარტა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს თვითონ მიაწვდიდა ინფორმაციას.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან მიღებული წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ბრალდებულმა [redacted] უარყო სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალადობის განხორციელების ფაქტი, თუმცა, მიუთითა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება არ დაწყებულა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე, კომპეტენციის ფარგლებში რეაგირების მიზნით, ინფორმაცია გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[1]

შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეებმა კატეგორიულად უარყვეს [redacted] მიერ გასაუბრების ოქმში მითითებული დისციპლინური გადაცდომის ფაქტები.[2]

სახალხო დამცველის აპარატმა, შესწავლის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან სამსახურებრივი შემოწმების მასალების ასლები გამოითხოვა,[3] რაც აპარატს მიეწოდა.[4]

სამსახურებრივი შემოწმების მასალები

სამსახურებრივი შემოწმების მასალებით ირკვევა, რომ გენერალურმა ინსპექციამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან სავარაუდო უკანონო ქმედებების შესახებ ინფორმაცია მიიღო 2023 წლის 27 მაისს, თავად [redacted] რომელიც გენერალურ ინსპექციას „დაუკავშირდა ცხელი ხაზის მეშვეობით (126). შეტყობინების თანახმად, [redacted] აცხადებდა, რომ დაკითხვაზე იმყოფებოდა გამომძიებელთან, რა დროსაც მასთან მივიდა [redacted] ,ომელმაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა გადაცდომებს, რასაც უშუალოდ საქმის შემსრულებელს მოახსენებს.

---

[1] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 9 ივნისის SIS 9 23 00009943 წერილი.
[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 3 აგვისტოს MIA 6 23 02248154 წერილი.
[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 7 აგვისტოს N15-7/7745 წერილი.
[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 აგვისტოს MIA 3 23 02328242 წერილი.

მასალების თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიეწოდა სახალხო დამცველის წერილი [redacted] დაკავშირებით და მასთან ჩატარებული გასაუბრების ოქმის ასლი.[5]

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელთან გასაუბრებისას [redacted] განმარტა, რომ 2023 წლის 26 მაისს, 15:20 საათზე დააკავეს ქურდობის ბრალდებით და გადაიყვანეს გორის რაიონული სამმართველოს შენობაში. თავდაპირველად შეიყვანეს [redacted] კაბინეტში, სადაც [redacted] (რომლის ვინაობას ვერ ასახელებს) გარდა, იმყოფებოდა [redacted] რომლის გვარი არ იცის). იმავე ოთახში იმყოფებოდა კიდევ 2 პოლიციელი (რომელთა ვინაობას, ასევე ვერ ასახელებს). [redacted] მესთავაზა დანაშაულის აღიარება, რაზეც უარი განაცხადა. ამის შემდეგ, გაიყვანეს გამომძიებელ [redacted] რომელმაც იგი გამოკითხა. ამ დროს გამომძიებელმა უთხრა, რომ თუ აღიარებდა დანაშაულს, პროკურორი [redacted] იშუამდგომლებს სასამართლოში მის მიმართ გირაოს გამოყენების თაობაზე და არ მოხდებოდა მისი დაკავება. აღნიშნულ შეთავაზებას იგი დათანხმდა და ხელი მოაწერა შესაბამის დოკუმენტებს.

[redacted] ამის შემდეგ, იგი გაიყვანეს საგამოძიებო ექსპერიმენტზე. ვიდრე სამმართველოს შენობიდან გავიდოდნენ, მისი გამოკითხვის დროს, შენობაში შემოვიდა [redacted] გვარად [redacted] აღნიშნულმა პირმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, კერძოდ, შეაგინა ოჯახის წევრებისა და დედის მისამართით.

შეკითხვაზე [redacted] განმარტა, რომ 2023 წლის 27 მაისს გორის იზოლატორში მასთან შევიდა გამომძიებელი [redacted] და გააცნო დადგენილება მისი ბრალდების შესახებ. ასევე, უთხრა, რომ პროკურორს ესაუბრა და მის მიმართ გირაოს გამოიყენებდნენ, რის გამოც, გამოკითხვის ოქმში დააფიქსირა, რომ აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს. თუმცა, 2023 წლის 29 მაისს აღკვეთის ღონისძიების სახით მის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა [redacted] თქმით, თავს გრძნობდა მოტყუებულად, რადგან გამომძიებელი და [redacted] პირები მას აღიარების შემთხვევაში, შეპირდნენ გირაოს გამოყენებასა და საპროცესო შეთანხმებას, თუმცა, მის მიმართ პატიმრობა იქნა გამოყენებული.

დამატებით კითხვაზე, [redacted] განმარტა, რომ მის მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა [redacted] ხოლო, როდესაც სამმართველოს შენობიდან გამოყავდათ, გორის სამმართველოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა [redacted] რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მის მოსაკითხად მისულ ახლობლებს.

გენერალური ინსპექციის თანამშრომელი, [redacted] 2023 წლის 7 ივლისს ტელეფონით დაუკავშირდა [redacted] და

[5] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 2 ივნისის SIS 7 23 00009536.

გაესაუბრა [redacted] შემხებლობის თაობაზე. [redacted] უარყო [redacted] რაიმე ფორმით შემხებლობა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. გენერალური ინსპექციის თანამშრომელს, წერილობითი ახსნა-განმარტება [redacted]ერ ჩამოურთმევია და შესაბამისად, არ მოუთხოვია დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა.

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, 2023 წლის 10 ივლისს, ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ შინაგან საქმეთა სამინისტროს [redacted] თანამშრომლებს, [redacted] და [redacted]

[redacted]ანმარტა, რომ მან და [redacted] ქურდობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, დანაშაულის ჩამდენი პირი, [redacted] ნებაყოფლობით მიიყვანეს გორის რაიონულ სამმართველოში და შეიყვანეს [redacted] სამუშაო ოთახში, სადაც, ასევე იმყოფებოდა გამომძიებელი [redacted] ამის შემდეგ, მათ ოთახი დატოვეს. სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, [redacted] დაკავებულ იქნა და მოათავსეს დროებითი მოთავსების იზოლატორში [redacted] განმარტებით, მისი თანამშრომელი იყო ფხიზელ მდგომარეობაში. აღნიშნულ დღეს [redacted] ნათესავები იმყოფებოდნენ თუ არა სამმართველოსთან, ვერ იხსენებს. შეკითხვაზე პასუხად განმარტავს, რომ არც მას და არც პოლიციის რომელიმე თანამშრომელს [redacted]ან მისი თანმხლები რომელიმე პირისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ასევე, ვერ იხსენებს, აღნიშნულ დღეს, [redacted] ბენობაში ყოფნის დროს იმყოფებოდა თუ არა [redacted] პირი, [redacted] თუმცა, მისი მხრიდან [redacted] სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს არ შესწრებია.

სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელ პირს ანალოგიური შინაარსის ახსნა-განმარტება მისცეს ასევე [redacted] და [redacted]

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, [redacted] მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების გადამოწმების მიზნით, სხვა ღონისძიებები არ გატარებულა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.[6]

---

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანები, ფუნქციები, კომპეტენცია და მისი საქმიანობის მეთოდები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით.[7]

გენერალური ინსპექციის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში (შემდგომში – სამინისტროს სისტემა) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი;[8] სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება;[9] სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულებისთვის კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.[10]

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობის (მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი) შემოწმება არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით;[11] ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება;[12] სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის მიზნით განხორციელებული შემოწმების პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლა, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების მინისტრისათვის წარდგენა; სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შესაბამისი დასკვნის ან ცნობის მომზადება.[13]

დისციპლინური დევნის I და II სამმართველო განიხილავს სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტებზე შემოსულ საჩივრებსა და განცხადებებს,

---

[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება.
[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხლი 2, პუნქტი „ა".
[9] იქვე, პუნქტი „ბ".
[10] იქვე, პუნქტი „ე".
[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხლი 3, პუნქტი „ბ".
[12] იქვე, პუნქტი „ბ²".
[13] იქვე, პუნქტი „ე".

აღნიშნულთან დაკავშირებით ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;[14] ახდენს შესაბამის რეაგირებას სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისა და ეთიკის ნორმების დარღვევებზე;[15] ორგანიზებას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალ დანაყოფებში, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას, მათი საქმიანობის შემოწმებას, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამინისტროს სისტემაში შესაძლო დარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომების პრევენციას;[16] დადგენილი წესით გამოითხოვს სამინისტროს მოსამსახურეთა პირად საქმეებს, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფების მიერ წარმოებულ ნებისმიერი კატეგორიის მასალებს, გამოძიების მასალებს. საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სამინისტროს ნებისმიერი მოსამსახურის გამოძახებას ან/და ადგილზე წერილობითი ან ზეპირი განმარტების მიღებას, ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;[17] კომპეტენციის ფარგლებში, გატარებული მუშაობის შედეგების მიხედვით, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს კონკრეტული მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე;[18]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების საფუძველია სამინისტროს მოსამსახურის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის და დისციპლინური გადაცდომის შესახებ მიღებული ინფორმაცია (მათ შორის, ოპერატიული ინფორმაცია) მოქალაქეთა და სამინისტროს მოსამსახურეთა წერილობითი ან ზეპირი განცხადებების, საჩივრების და პატაკების სახით, სასამართლოს (მოსამართლე) კერძო განჩინებები (დადგენილებები), სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ადმინისტრაციული ორგანოებიდან, ასევე იურიდიული თუ ფიზიკური პირებისგან მიღებული შეტყობინებები და მასალები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობები.[19]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[20]

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამრიგად, სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელი პირი, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო მოეიმული სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გულდასმით შეემოწმებინა [redacted] მიერ დაფიქსირებული პრეტენზიები მისი უფლებების შელახვის შესახებ და მოეპოვებინა

---

[14] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხლი 8, პუნქტი „ა".
[15] იქვე, პუნქტი „ბ".
[16] იქვე, პუნქტი „გ".
[17] იქვე, პუნქტი „დ".
[18] იქვე, პუნქტი „ე".
[19] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხლი 9, პუნქტი 1.
[20] იქვე, პუნქტი 2.

ყველა შესაძლო, მათ შორის, ნეიტრალური ინფორმაცია მითითებული ფაქტების შესახებ, რაც არ განხორციელებულა.

მაგალითად, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში არ გატარებულა შემდეგი ღონისძიებები:

- ახსნა-განმარტება არ ჩამოერთვა უშუალოდ [redacted] და არ შეეთავაზა დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა მისი უფლებების დარღვევის შესახებ;
- [redacted] არ დაზუსტდა, თუ ვინ იმყოფებოდნენ მისი ახლობლებიდან პოლიციის სამმართველოს შენობასთან, რათა მომხდარიყო მათი იდენტიფიცირება და გამოკითხვა [redacted] მიერ მითითებულ იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პოლიციელმა, [redacted] სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მის ახლობლებს;
- არ მოხდა იმის დადგენა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონული სამმართველოს შენობაში (სადაც იმყოფებოდა [redacted] იყო თუ არა განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები და მიმდინარეობდა თუ არა ვიდეომეთვალყურეობა. ვიდეოჩანაწერების მოძიებისა და გაცნობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ყველა იმ პოლიციელების იდენტიფიცირება და გამოკითხვა, ვისაც შემხებლობა ჰქონდა [redacted] ასევე, დადასტურდებოდა ან გამოირიცხებოდა [redacted] ახლობლების ადგილზე ყოფნა და მათთან [redacted] შემხებლობის ფაქტი;
- [redacted] შემხებლობაში მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, [redacted] და [redacted] ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ მნიშვნელოვანი დაგვიანებით - 2023 წლის 10 ივლისს, რის გამოც, მათ ვერ გაიხსენეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი. მაგალითად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის [redacted] გორის რაიონული სამმართველოს შენობაში შესაძლო ყოფნის, ასევე, [redacted] ახლობლების სამმართველოს შენობასთან ყოფნის ფაქტები;

არაეფექტური და უშედეგო საქმისწარმოების თავიდან აცილების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის შესაბამისმა თანამშრომელმა დროულად უნდა დაიწყოს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, იქნება ეს დოკუმენტაციის, ვიდეოჩანაწერების მოძიება, თუ საჭირო პირებისთვის ახსნა-განმარტებების სრულყოფილად, ამომწურავად ჩამორთმევა.

საქმისწარმოებისათვის საჭირო მოქმედებების დროში გაჭიანურებამ, შესაძლოა, შეუძლებელი გახადოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, მაგალითად, ახსნა-განმარტების დაგვიანებით ჩამორთმევის შემთხვევაში, შესაძლოა, პირმა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სრულყოფილად ვერ გაიხსენოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მნიშვნელოვანი დეტალები, მოცემულ საქმეში კი, ახსნა-განმარტების მიმცემმა პირებმა, კერძოდ [redacted] [redacted] განაცხადეს, რო [redacted] ონკრეტულ დროს იმყოფებოდა თუ არა სამმართველოს შენობაში, არ ახსოვდათ. ასევე, არ ახსოვდა [redacted] ახლობლები იმყოფებოდნენ თუ არა სამმართველოს შენობასთან. გარდა ამისა, შემოწმების დაგვიანებით დაწყების შემთხვევაში,

ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების მოძიება. შესაძლოა, ვერ მოხერხდეს მათი წაშლის გამო. ამდენად, დროში გაჭიანურებული საქმისწარმოება, საბოლოოდ, აზიანებს საქმის მსვლელობას და არაეფექტიანს და უშედეგოს ხდის მას.

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ვალდებული იყო გამოეყენებინა უფლება ვიდეოჩანაწერების წვდომასთან დაკავშირებით, გაერკვია [redacted] ამმართველოში ყოფნის დროს შენობაში დამონტაჟებული იყო თუ არა ვიდეოკამერები, ამოეღო ჩანაწერები და შეესწავლა, რათა დადგენილიყო [redacted] ემხებლობაში მყოფი პირების ვინაობა და მომხდარიყო მათთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა. აღნიშნული გენერალური ინსპექციის მხრიდან არ განხორციელებულა.

ამრიგად, როდესაც მოქალაქე მიუთითებს მისი უფლებების შელახვის ფაქტზე და სამსახურებრივი შემოწმების პროცესში არ ხდება ყველა შესაძლო ინფორმაციის მოპოვება და მოქალაქის პრეტენზიის საფუძვლიანი გადამოწმება, ბუნებრივია, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ვერ მიიჩნევა ობიექტურ და სრულყოფილ რეაგირებად ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე. მსგავსი სახით სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება ვერ იქნება ორიენტირებული მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე და ხელს ვერ შეუწყობს უწყების ამოცანების ეფექტიან შესრულებასა და მის მიმართ საზოგადოებაში ნდობის გაზრდას.

საჯარო მოსამსახურე პასუხისმგებელია მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, რაც წინამდებარე შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლის მიმართ სამსახურებრივი შემოწმების დაწყების აშკარა საფუძველია.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ [redacted] განცხადების საფუძველზე, სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელმა პირმა სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა არასრულყოფილად, რითიც, მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობა არაჯეროვნად შეასრულა. კერძოდ, მან სამსახურებრივი შემოწმების პროცესში არ ამოწურა ყველა შესაძლებლობა, მოეპოვებინა ინფორმაცია [redacted] მიერ დაფიქსირებული ფაქტების გადამოწმების მიზნით, რამაც ხელი შეუშალა განმცხადებლის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების შესწავლასა და გამოვლენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება ზემოხსენებულ საქმეზე სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელი პირის მიმართ;[21]

---

[21] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის [redacted] საკონსულტაციო გასაუბრების ოქმი შეადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

2. განაახლოთ სამსახურებრივი შემოწმება [redacted] უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტზე და ჩაატაროთ იმგვარად, რომ მოპოვებულ იქნას ამომწურავი ინფორმაცია ფაქტის ირგვლივ.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის I სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორმა, პოლიციის მაიორმა, [redacted] ხოლო, პოლიციის თანამშრომლების, [redacted] პირ(ებ)ის ვინაობა, მასალებიდან არ იკვეთება.